რეპორტაჟი საწვრთნელი მატჩიდან

რუსთავის „მეტალურგის“ ფეხბურთელთა გუნდმა შარშან მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონაში VI ადგილი დაიკავა. ბუნებრივია, რუსთაველ ფეხბურთელებს ეს არ აკმაყოფილებდათ, ამიტომ ახალი სეზონისათვის მათ ახალი გეგმები დასახეს. გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მ. მინაევმა, მწვრთნელმა რ. მახარაძემ თავიდანვე ასეთი გეზი აიღეს: რაც შეიძლება მეტი საკონტროლო მატჩი. ხშირი შეხვედრები ხომ სათანადო ფორმაში შეიყვანს ფეხბურთელებს. კოლექტივმა უკვე ჩაატარა რამდენიმე საკონტროლო–საწვრთნელი მატჩი და შედეგებიც კარგია.

მ. მინაევს ჩვენ მორიგი საკონტროლო მატჩის დროს შევხვდით. ამჯერად რუსთავის გუნდი თამაშობდა თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ. მივყვეთ ამ მატჩის მსვლელობას და თან მ. მინაევის შენიშვნებსაც მივუგდოთ ყური:

თუ „მეტალურგისათვის“ ეს მატჩი რიგით მეხუთე იყო, თბილისელთათვის იგი ძალების მხოლოდ პირველ გამოცდას წარმოადგენდა. რუსთავის გუნდი ძირითადად ძველი შემადგენლობით გამოვიდა: ადამოვი, გალოიანი, დუდნიკოვი, ხვედელიძე, ხაბეიშვილი (კვინიკაძე), რამიშვილი, ჯავახიშვილი, ანთიძე, კოჩიაშვილი, ჭკუასელი, ქურციკიძე. თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში იყვნენ კვასხაძე (ლეჟავა), ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ხოჭოლავა, ხუნდაძე, ხელაძე, მელაშვილი, მაისურაძე, ზეინკლიშვილი, დათუნაშვილი.

თამაშის დასაწყისშივე პირველი ბურთი რუსთაველთა კარში აღმოჩნდა. მ. მინაევის რეაგირება ასეთი იყო: – ჩვენმა ცენტრალურმა მცველმა დუდნიკოვმა ადგილი ვერ აირჩია კარგად, კალოევსაც ეს უნდოდა, ხომ ნახეთ რა ზუსტად დაახვედრა ბურთს თავი და ჩვენი კარიც უკვე მეორე წუთზეა აღებული...

მოედანი დინამოელებმა დაიპყრეს. გამოცდილებამ თავისი გაიტანა, მაგრამ რუსთაველთა დაცვამ ის მაინც მოახერხა, რომ მოწინააღმდეგეს ანგარიშის გაზრდის საშუალება არ მისცა. აი მწვრთნელის კომენტარიც: – ხედავთ ჩვენს მცველებს? ურთიერთდაზღვევა მათ კარგად მოაწყვეს. მონდომება აქვთ, გარდა ამისა „დინამოს“ ფორვარდები შეცდომებს უშვებენ და მგონი დიდ ანგარიშს გადავრჩებით...

„მეტალურგის“ მხრივ კონტრიერიშები ეპიზოდურად ხდებოდა. დინამოელებმა რამდენიმეჯერ მოახერხეს თავიანთი კარის უვნებელყოფა, მაგრამ ამ დროს მასპინძელთა მარცხენა გარემარბმა ქურციკიძემ კარგად გადასცა ბურთი ჭკუასელს. მან უკან ჩამოიტოვა ზედიზედ ორი მცველი. მეკარე კვასხაძე არასწორად გამოვიდა წინ, რაც კარგად გამოიყენა ჭკუასელმა. მან მშვიდად მოატყუა მეკარე და ზუსტად გაგზავნა ბურთი კარისაკენ – 1:1. დამთავრდა პირველი ტაიმი. მინაევმა ასე შეაჯამა ტაიმის შედეგი: – თქვენ ალბათ დაინახეთ, რომ ჩვენი თავდასხმის ხუთეული ტაქტიკური თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრს სცოდავს. მათ მიერ კარგად წამოწყებული შეტევა ხშირად ვერ აღწევს მიზანს. ეს პირველ რიგში თამაშის ტაქტიკური უფერულობის შედეგია. ვფიქრობ, აქ ბევრი სიახლის დანერგვა და ახალი ვარიანტების გამოძებნა დაგვჭირდება. მომავალ საკონტროლო მატჩებში საბოლოოდ უნდა დავხვეწოთ ჩვენი ტაქტიკური ნახაზი, შევიმუშავოთ სხვადასხვა ვარიანტები, მივაღწიოთ ეფექტურობას. დრო არც თუ ისე ბევრია, 15 აპრილს მოკავშირე რესპუბლიკათა ჩვენი ზონის პირველობა იწყება.

– თუ ვისთან გვექნება პირველი მატჩი, – დასძინა მინაევმა, ჯერ არაა ცნობილი, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს, ჩვენი მოწინააღმდეგე, ძლიერი თუ სუსტი, წარმატებით სტარტს დიდი მნიშვნელობა აქვს. ვეცდებით, ყველა შესაძლებელი გავაკეთოთ იმისათვის, რომ კარგ შედეგს მივაღწიოთ.

ამასობაში დაიწყო მეორე ტაიმი. მწვრთნელი კვლავ დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს თამაშს, ხშირად აძლევდა ფეხბურთელებს მოკლე შენიშვნებს: „დარტყმა უნდა...“; „გადაცემა მარცხნივ“... „არა, ასე არ ვარგა“... თამაშის 63–ე წუთზე მელაშვილმა საჯარიმო დარტყმით თავისი გუნდი წინ გაიყვანა – 2:1. ეს იყო და ეს – თამაშის ბოლომდე ანგარიში არ შეცვლილა.

საკონტროლო–საწვრთნელი თამაში დამთავრდა. მინაევმა გამოთხოვებისას რამდენიმე ძუნწი წინადადებით გამოთქვა თავისი აზრი მატჩის შესახებ: – ჩვენი ბიჭები დინამოელებთან შედარებით უფრო მონდომებით იბრძოდნენ. დაცვამ ძირითადად კარგად ითამაშა და, რაც მთავარია, რუსთაველებმა დინამოელთა შემოთავაზებულ მაღალ ტემპს გაუძლეს. ეს მეორე ეშელონის გუნდისათვის მცირე მიღწევა როდია. ჩანს, რომ მეცადინეობას საერთო ფიზიკურ მომზადებაში ტყუილად არ ჩაუვლია.

ჯ. ენუქიძე.
13 მარტი, 1962 წ.